მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მთაწმინდაზე

ს/კ 01.15.05.017.034

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

არქ. გ. ჭყონია _____

არქ. გ. სამხარაძე _____

არქ. ნ. ბოჭორიშვილი _____

არქ. დ. დანელია _____

დაამუშავა ბ. გოგოლაური _____

ქ. თბილისი 2023 წ.

შინაარსი

ა/-- განმარტებითი ბარათი;

ბ/-- კალენდარული გეგმა;

გ/-- გრაფიკული ნაწილი: ნახაზი მო-1, მო-2

ა/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავდა СниП 3.01.01-85 თანახმად და „საქართველოს მთავრობის დადგენილება № 255, მუხლი №№ 18, 20“-ის თანახმად.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, მთაწმინფდაზე, ტარიელის ქ.№№9,13,15,17, ს/კ 01.15.05.017.034. საპროექტო ტერიტორია არის არასტანდარტული ფორმის და მისი რელიეფი ქანობია.

პროექტით გათვალისწინებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა. შენობა შესდგება 6 სართულისგან, აქედან ერთი სართული მიწისქვეშა ავტოსადგომი.

შენობის კონსტრუქციის ჩონჩხედი წარმოედგენს რკინაბეტონის კარკასს, რომლის ელემენტები - კოლონები, რიგელები და გადახურვები მონოლითური რკინაბეტონისაა. საძირკველი იქნება წერტილოვან-ხიმინკობანი.

0,00 = 484,50-ს.

გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი ფემები:

--ფენა №1 ----------ნაყარი გრუნტი;

--ფენა №2 ----------ქვიშნარები და არგილიტები;

--ფენა №3 ----------თიხნარი ღორღის და ხვინჭის ჩანართები.

ტერიტორიაზე გრუნტის წყალი არ დაფიქსირდა.

ქ. თბილისი მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას.

2. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად..

N	ბლოკი	СниП 1.04.03-85 /თვე/				
		ანალოგი	გვ 477 პ.16-ის მიხედვით	გვ.477. პ19-ის და 483, პ.12-ის მიხედვით	გვ 2, პ11-ის მიხედვით	გვ 4, პ17-ის მიხედვით
1	მრავალფინქციური შენობა	გვ 480, პ5 T=11.00 , t=2.00	T=11.00+0.50x6.63= =14.30	T=14.30+0.50x10.00= =19.30	T=19.30 + +4.00= =23.30	T=23.30 x x1.15= =27.00

<u>მოსამზადებელი პერიოდში უნდა მოხდეს</u>

--ტერიტორიის შემოღობვა დროებითი ღობით. საფარიანი ღობე მოექყობა მარტო ქუჩის მხრიდან. საფარიანი ღობის მოწყობა განხორციელდეს ლითონის დგარებით და საფეხმაცვლო გზის დონეზე ჩვენს წითელ ხაზში მოექყოს შეფიცრული სავალი ნაწილი (დროებითი ლითონის ფვეკონსტრუქციაზე). აგრეთვე, გათვალისწინებული იქნას დროებითი ლითონის კონსტრუქციია საყრდენის მოწყობა

კონსტრუქციებისგან / იხილე ნაზახი მო-2;

--დროებითი „ნაგებობების“ დაყენება ჯგუფურად, უსაფრთხო ადგილზე და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი გადაადგილება;

-- ხეების გადანერგვა;

--ტერიტორიაზე არსებულიკონსტრუქციების აღება და ნაგვის გატანა;

--მიწის ზედაპირის ნიშნულის ცვლილება / პროექტის თანახმად/;

--საპროექტო ქსელების გაყვანა;

სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებით წყლით და ენერგიით საპროექტო ქსელებიდან;

--სასაწყობე მოედნის გათვალისწინება;

კონსტრუქსიების და მასალების შემოტანა მოედანზე;

--ხანძრისგან დაცვის სისტემის მოწყობა.

3. გრუნტის დამუშავება მოხდეს უკუჩამჩიანი ექსკავატორით და ხელით სრული მოცულობის დატვირთვით და გატანით. არსებულ წსელებთან არსებულ ნაგებობებთან 1,0 მ-ის მანძილზე გრუნტის დამუშავება მოხდეს **მარტო ხელით**. გრუნტის და ბალასტის უკუჩაყრა მოხდეს ხელით და ბულდოზერით. საჭირო მოცულობა უნდა იქნეს შემოტანილი სამშენებლო მოედანზე.
4. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს ავტო ამწის, ავტო-ბეტონის ტუმბოს და სტაციონალური ბეტონის ტუმბოს გამოყენებას. ბეტონის ტუმბოებისა და მიქსერის დგომა მოხდეს სამშენებლო მოედნის ფარგჰლებში.

ავტო ამწის მუშაობისას უნდა მოხდეს:

--ისრის შემობრუნების შეზღუდვა;

--ტვირთის მოძრაობის შეზღუდვა, საშიში ზონის წინასწარი იდენტიფიცირება;

--ერთი სართულის ფარგლებში მოხდეს სამშენებლო მასალების ნაწილობრივი განაწილება ხელით.

შენიშვნა: ავტო ამწის დაყენება მოხდეს სამშენებლო მოედანზე, წინასწარ შერჩეულ და შეთანხმებულ ადგილზე.

სამუშაოების განხორციელების რიგები და ეტაპები:

მშენებლობის პირველი რიგი:

--პირველი ეტაპი----------სამშენებლო მოედნის მოსწორება----------30 დღე;

--მეორე ეტაპი----------მიწის ნაკვეთის გრუნტის ზედაპირის ცვლილება----------15 დღე;

--მესამე ეტაპი----------შენობა-ნაგებობის გრუნტზე გაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება--------15დღე.

მშენებლობის მეორე რიგი:

--მეოთხე ეტაპი----------შენობა-ნაგებობის A ბლოკის მიწის სამუშაოები (480,60 ნიშნულზე) და
B ბლოკის მიწის სანუშაოები (486,00 ნიშნულზე)----------210 დღე.

--მეხუთე ეტაპი----------შენობა-ნაგებობის A ბლოკის ფუძის მოწყობის სამუშაოები, შენობა-ნაგებობის A

ბლოკის საძირკვლის მოწყობა----------60 დღე

--მეექვსე ეტაპი----------A ბლოკის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობის ნულოვან ნიშნულამდე----------30 დღე;

--მეშვიდე ეტაპი---------- A ბლოკის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობის ნულოვან ნიშნულიდან----------90 დღე

--მერვე ეტაპი----------შენობა-ნაგებობის B ბლოკის მიწის სამუშაოები (480,60 ნიშნულზე)----------30 დღე

--მეცხრე ეტაპი----------შენობა-ნაგებობის B ბლოკის ფუძის მოწყობის სამუშაოები, შენობა-ნაგებობის B ბლოკის საძირკვლის მოწყობა----------60 დღე

--მეათე ეტაპი---------- B ბლოკის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობის ნულოვან ნიშნულამდე----------30 დღე;

--მეთერთმეტე ეტაპი--------B ბლოკის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობის ნულოვან ნიშნულიდან----------90 დღე

--მეთორმეტე ეტაპი---------- შენობის სახურავის და გადახურვის მოწყობა, არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა----------120 დღე

--მეცამეტე ეტაპი---------- შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა / ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი----------120 დღე;

--მეთოთხმეტე ეტაპი-------- შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები / მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები----------120 დღე.

5. უსაფრთხოების ტექნიკა

ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტომცლელებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან.

სამუშაო ადგილებიმუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვის და სიგნალიზაციის საშუალებთ.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებს და თავსაბურებს.

მასალების და ნაკეთობების დასწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტრო ქსელიდან გამორთვის გარეშე.

სამონტაჟო მექანიზმის მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელი პირთა ყოფნა აკრძალულია.

6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობაბს დამახასიათებელი ეკოსისტემისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტირილი არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი / სამშენებლო მოებადი / აუცილებლად ინდა იქნას შემოღობილი დროებითი ღობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;

-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ეკოსისტემა;

-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;

-ხმაური მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოწმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

არსებობს შემდეგი კანონები:

კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ 1996წ განსაზღვრავს იმ ზოგად მოთხოვნებს, რომელის უკავშირდება ჰაერის დაბინძურებას, წყლის აღებას და ჩაშვებას, ნარჩენებს, ხმაურს და სხვა საკითხებს.

კანონი „წყლის შესახებ“ 1997წ შეეხება ზედაპირულ წყლებს, მიწისქვეშა წყლებს, მიმდებარე სანაპირო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვარს და განსაზღვრავს წყლის აღების და ჩაშვების ლიცენზირებასთან დაკავშირებულ წესებს.

კანონი „ატმოსფერული ჰაერის შესახებ“ 1997წ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლის და დაბინძურების შეზღუდვის დროებით მეთოდოლოგიას, ჰაერის ხარისხის შედარება სტანდარტებთან, რომელიც სახსტანდარტს ეფუძნება.

კანონი „მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ“ 1998წ მოიცავს მავნე ნივთიერების კლასიფიკაციას და უსაფრთხო მოხმარებას.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ---ბეტონმრევის საშუალებით.

საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შერულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარდა,, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.

მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღიჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით, ნაგვის ჩამოცლა კი მოხდეს უშუალოდ ავტო თვითმცლელის ძარაში.

7. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1, მო-2 ერთად.

სტაციონალური მეტონის ტუმბო Putzmeister P-715-ის

ტექნილური დახასიათება

1. დანადგარის ზომები ----------3,00x1.39x1.39 მ.
2. მექანიზმის წონა---------- 1 700 კგ.
3. წვდომა:
   -ვერტიკალურად---------- 60,00 მ.
   -ჰორიზონტალურად---------- 200,00 მ.

ავტოამწე LTM 1055/1

ტექნილური დახასიათება

1. დანადგარის ზომები ----------11.36x3.70x2.54 მ.
2. მექანიზმის წონა ---------- 36 ტ.
4. წვდომა:
   -ვერტიკალურად---------- 60,00 მ.
   -ჰორიზონტალურად---------- 48,00 მ.
5. საყრდენი ბაზა: ---------- 7.34x6.30 მ.



შენიშვნა: მექანიზნის მარკის შეცვლა შეიძლება მოხდეს ანალოგიური მახასიათებლების მარკაზე, სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად.


1.6 t.
2.3 t.
3.5 t.
4.2 t.
5.3 t.
6.3 t.
9.1 t.
A ბლოკი


3 q.s.
mSenebare
1 q.s.
2 q.s.
3 q.s.
Activate

| № ეტ. | | მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები | დღე | თვეები | | |